საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №05/38

2024 წლის 13 ივნისი

ქ. თბილისი

„სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25/03/2024, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.088.016062) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის („სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“):

1. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კონკურსის გამოცხადების შესახებ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება განისაზღვროს საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) წევრის/წევრების (მათ შორის – სათადარიგო წევრის/წევრების) სავალდებულო პროფესია/სპეციალობა (მაგალითად, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმების მიმართულებით ან/და ფილმის ქრონომეტრაჟის მიხედვით).“.

2. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) წევრები შეირჩევიან შემთხვევითობის პრინციპით, შემდეგი წესით:

ა) თუ კონკურსის გამოცხადების შესახებ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული არ არის სავალდებულო პროფესია/სპეციალობა საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) არცერთი წევრისათვის, ჯერ შეირჩევა საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) 5 წევრი, ხოლო შემდეგ – 2 სათადარიგო წევრი;

ბ) თუ კონკურსის გამოცხადების შესახებ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია სავალდებულო პროფესია/სპეციალობა საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) ერთი ან რამდენიმე წევრისათვის, თავდაპირველად შერჩევაში მონაწილეობენ მონაცემთა ბაზის მხოლოდ ის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ კონკურსის გამოცხადების შესახებ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სავალდებულო პროფესიის/სპეციალობის მქონე პირებს. კერძოდ, ჯერ შეირჩევიან საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) სავალდებულო პროფესიის/სპეციალობის მქონე წევრი/წევრები, ხოლო შემდეგ - სავალდებულო პროფესიის/სპეციალობის მქონე სათადარიგო წევრი/წევრები. ამის შემდეგ შეირჩევიან საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) სხვა წევრი/წევრები და სხვა სათადარიგო წევრი/წევრები;

გ) თუ კონკურსის გამოცხადების შესახებ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია სავალდებულო პროფესია/სპეციალობა საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) ყველა წევრისათვის, ჯერ შეირჩევა საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) 5 წევრი, ხოლო შემდეგ – 2 სათადარიგო წევრი. შერჩევაში მონაწილეობენ მონაცემთა ბაზის მხოლოდ ის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ კონკურსის გამოცხადების შესახებ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სავალდებულო პროფესიის/სპეციალობის მქონე პირებს.“.

3. მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კონკურსის მეორე ეტაპზე შეიძლება გადავიდეს კონკურსის გამოცხადების შესახებ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დასაფინანსებელი პროექტების ზღვრულ ოდენობაზე არანაკლებ 1,5-ჯერ მეტი და არაუმეტეს ორჯერ მეტი პროექტი. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობა (ჟიური) არ მიიღებს გადაწყვეტილებას მეორე ეტაპზე საკმარისი რაოდენობის პროექტების გადასვლის შესახებ, კონკურსი ცხადდება ჩაშლილად.“.

4. მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

„8^1. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება, როდესაც საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობისთვის (ჟიურისთვის) გადაცემული საკონკურსო განაცხადების რაოდენობა ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას მეორე ეტაპზე გადასასვლელი პროექტების რაოდენობის შესახებ იღებს საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობა (ჟიური) და იგი არ არის შეზღუდული ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული მინიმალური რაოდენობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 14 ივნისიდან.

საქართველოს კულტურისა და
სპორტის მინისტრი **თეა წულუკიანი**